ხელშეკრულება № 10/033
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2014 წლის 31 ოქტომბერი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, **აიპ - საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი** (მისამართი: ქ. თბილისი, ძველი თბილისის უბანი, ბოტანიკურის ქუჩა .№1), წარმოდგენილი დირექტორის **ნინო გოცაძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს პოლიმერი 1** (მისამართი: ისანი-სამგორის რაიონი, ვაგზლის ქ., №15ა) წარმოდგენილი დირექტორის **ამირან ადეიშვილის** სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 04 აპრილის N597 განკარგულების შესაბამისად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი გაუწევს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებულ მომსახურებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი იღებს აღნიშნულ მომსახურებას და ვალდებულია დროულად, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადაიხადოს მისი საფასური.

1.2. პლასტმასის მილების ტრანსპორტირება: ქ. თბილისის მასშტაბით, ვაგზლის მოედანიდან ბოტანიკურის ქ. N1-ში CPV: 601 00000

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

2.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

3. მომსახურების გაწევის წესი და ადგილი

3.1. მიმწოდებელი ახორციელებს ტრანსპორტირების მომსახურებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.2. მომსახურების გაწევა ხდება ერთიანადდ, 2014 წლის 31 ოქტომბერს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებლის ვალდებულებები:

4.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება.

4.1.2. თუკი, ხელშეკრულების 1.2. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.

5. ფასი და ანგარიშსწორების წესი

5.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **30,00** (ოცდაათი) ლარი.

5.2. მომსახურების საფასურის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მომსახურების გაწევის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება შემსყიდველის მხრიდან ევალება ტექნიკურ მენეჯერს სერგო გიორგობიანს.

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

7.2. შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც შემსყიდველის მიერ უფლებამოსილი პირები ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას.

7.3. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა, შემსყიდველის მხრიდან განესაზღვროს ტექნიკურ მენეჯერს სერგო გიორგობიანს.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა.

9.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ს ოდენობით.

10. ფორს-მაჟორი

მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი

ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

12.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

13. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

14. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი რჩება შემსყიდველს, ერთი – შემსრულებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
აარპ - საქართველოს ეროვნული ბოტანიკურ ბაღი	შპს პოლიმერი 1
მისამართი: ქ. თბილისი, ძველი თბილისის უბანი	მისამართი: ქ.თბილისი, ისანი-სამგორის
ბოტანიკურის ქუჩა N1	რაიონი,
ს/კოდი: 404 405 960	ვაგზლის ქ., №15ა
სს ბანკი ქართუ	საიდენტიფიკაციო კოდი – 206 346 097
ბანკის კოდი: CRTUGE22	სს ვითიბი ბანკი
ანგარიშის ნომერი:ა/ა GE07CR0030086103933608	ბანკის კოდი: UGEBGE22
რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული	ა/ა: GE54 VT66 0000 0009 3236 02
პროექტი	
6 კოცაძე	
დირექტორი	დირექტორი
ნინო გოცაძე	**ამერან ადეიშვილი**